

New 2000 Plus

Setting out

ინგლისური ენა

დაწვებითი კლასებისთვის

III კლასი

მასწავლებლის წიგნი

ტატიანა ბუკია და ბარი უოტსონი



გამომცემლობა

რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.
სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში.

New 2000 plus, Setting Out ტატიანა ბუკია და **Barrie Watson**

ინგლისური ენის სახელმძღვანელო დაწვებითი კლასებისთვის
სწავლების პირველი წელი

მასწავლებლის წიგნი

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილები:

I. მოსწავლის კომპლექტი:

1. მოსწავლის წიგნი
2. საგარჯიშო რეგული, რომელშიც შედის:
 - ა) წერა-კითხვის სასწავლო საგარჯიშოები
 - ბ) ლექსიკონი გაკვეთილების მიხედვით
 - გ) ამოსატრედი-გასაფერადებელი სიტყვები და სურათები
 - დ) მაგიდის თეატრის ნახაზი
3. კომპაქტ-დისკი **CD** ან აუდიოკასეტა

II. მასწავლებლის კომპლექტი:

1. მასწავლებლის წიგნი
2. კომპაქტ-დისკი **CD** ან აუდიოკასეტა
3. პლაკატები
4. ბარათები (სურათებით და სიტყვებით)

CREDITS

The authors wish to thank Sal Chayne – SAKASTAC for assisting in recording the CD.

Special thanks to Patricial Hall for her assistance.

საავტორო უფლება © 2008 გამომცემლობა “ოცდამეერთე”

ყველა უფლება დაცულია

პირველი გამოცემა 2008

ISBN 978-9941-9042-9-5

გამომცემლობა “ოცდამეერთე”

ტელ. 103.205; მობ.: 877 742146 ელ. ფოსტა tatbukia@yahoo.co.uk
ვებ გვერდი: bukia21st.ge

შინაარსი

I	შესავალი	4
II	მე-3 კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა, სტანდარტი იხილეთ “სტანდარტი”	
III	სახელმძღვანელოს შინაარსისა და მიზნების რუკა	5
IV	როგორ ვასწავლოთ ამ წიგნით	7-12
V	სანიმუშო გაკვეთილები	12
VI	მოსასმენი მასალის ტექსტები.	18
VII	შეფასება	35
VIII	ინგლისურენოვანი კულტურის გაცნობის მასალები	36
IX	დანართი	
	დამატებითი მასალა მასწავლებლისათვის	38
	გაკვეთილის წარმართვის ენა	

შესავალი

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილები

I. მოსწავლის კომპლექტი:

1. მოსწავლის წიგნი
2. სავარჯიშო რვეული, რომელშიც შედის:
 - ა) წერა-კითხვის სასწავლო სავარჯიშოები
 - ბ) ლექსიკონი გაკვეთილების მიხედვით
 - გ) ამოსატრელები-გასაფურადებელი სიტყვები და სურათები
 - დ) მაგიდის თეატრის ნახაზი
3. კომპაქტ-დისკი CD ან აუდიოკასეტა

II. მასწავლებლის კომპლექტი:

1. მასწავლებლის წიგნი
2. კომპაქტ-დისკი CD ან აუდიოკასეტა
3. პლაკატები
4. ბარათები (სურათებით და სიტყვებით)

ვისთვის არის ეს სახელმძღვანელო?

8 წლის ასაკის დამწყებთათვის, დაწყებითი სკოლის მე-3 კლასი.

მიზანი: მე-4 კლასის ბოლოს, მიიყვანოს მოსწავლეები ევროსტანდარტის A1 დონემდე.

კურსის ხანგრძლივობა: $3 \times 36 = 108$ გაკვეთილი/საათი.

24 თემა – თითოეული 4 გაკვეთილი: როგორც მოსწავლის წიგნი, ასევე სავარჯიშო წიგნი (რომელიც შეიძლება გაკეთდეს ნაწილობრივ კლასში, ნაწილობრივ – როგორც საშინაო დავალება). 12 საათი დატოვებულია სავარჯიშო რვეულის დავალებებისთვის, რომლებსაც შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, როგორც, მაგალითად, ზღაპარი „სამი დათვი“ სასწავლო წლის ბოლოს, რომელიც არჩევითია. მოსწავლეებს შეუძლიათ დადგან თოჯინების წარმოდგენა.

თითოეული თემა განთავსებულია მოსწავლის წიგნის 3 გვერდზე (გარდა ბოლო ორისა). თითო გვერდი – თითო გაკვეთილი.

რას შეიცავს მოსწავლის წიგნი?

- სარჩევს
- 24 თემას

რას შეიცავს სავარჯიშო წიგნი?

- კითხვისა და წერის შემსწავლელ სავარჯიშოებს
- თვით-შემოწმების დავალებებს (What I know so far) ყოველი 4 თემის შემდეგ „რა ვისწავლე აქამდე“.

რას შეიცავს კომპაქტ-დისკები?

- მასწავლებლის – ასახსნელი ლექსიკური მასალის ჩანაწერებს.
- მოსწავლის – ლექსებსა და სიმღერებს.

ღანართი

- მშობლებისთვის. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. ყოველი თემისთვის ცალ-ცალკე სიტყვები და გამოთქმები, ანბანურად დაწყობილი.
- სურათები – რომლებიც უნდა გამოიჭრას და დაეწებოს მუყაოს ქაღალდზე, სურვილისამებრ – გაფურადდეს.
- სიტყვები – კითხვის დავალებების შესასრულებლად, ამოსატრელები და მისაწებებელი.
- თარგი მაგიდის თოჯინების თეატრის გასაკეთებლად. იგი შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ყოველი თემის ბოლოს შესასრულებელი დიალოგების წარმოდგენისთვის.

II
უცხოური ენის სტანდარტი
სწავლის შედეგები და ინდიკატორები
იხილეთ „უცხოური ენის სტანდარტი“

III
სახელმძღვანელოს შინაარსისა და მიზნების რუკა

Unit	TITLE	Vocabulary	Grammar	Results
1	HELLO! WHAT'S YOUR NAME?	name boy girl numbers 1-10	I You He She My Your His Her	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1
2	THINGS IN MY CLASSROOM	table chair book, notebook pen pencil picture desk cassette eraser window where over there	Indef article Plural 's' There is There are	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1
3	ME AND MY FAMILY	father mother brother sister grandmother grandfather nice	have Do you have? How many? Is it a...? Who? Don't be.	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1
4	PETS	dog cat bird fish hamster box bowl basket big small alphabet a-z	it they this that these those	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 1 - 4		ს2,3
5	MY CLOTHES	numbers 11 – 20 shirt skirt jacket T-shirt cap shoes trousers shorts trainers really? thank you	I like It is They are Where?	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
6	COLOURS	black white red green blue yellow grey brown favourite colour love (v) hate (v)	What? Which?	მ1, 2, ლ1,2, კ1 წ1
7	MOVING AROUND	floor ceiling door wall board stand up sit down come go do place put up put down hand walk run dance jump tip-toe ok see move look point number n	To (preposition of direction)	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
8	MOVING THINGS AROUND	numbers 30,40,50,60,70,80, 90, 100 in on under next to between put there you are.	Prepositions of place	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 5 - 8		ს2,3
9	I'M HUNGRY	numbers 21 – 100 cake unc cake c chocolate unc	(Uncountable nouns) Some (sing.)	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1

		chocolate c ice-cream unc ice-cream c chewing gum meat soup bread popcorn roll banana sweet carrot hungry		
10	FROM HEAD TO TOE	Parts of the body	can	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
11	MY FACE	Parts of the face		მ1, 2, ლ1,2, კ1 წ1

Unit	TITLE	Vocabulary	Grammar	Results
12	ANIMALS	Wild and farm animals	I like Do you like? I don't like	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 9 – 12		ბ2,3
13	FOOTBALL OR BASKETBALL?	Names of sports of course about (approx'ly) wow!	How far?	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
14	FRUIT AND VEGETABLES	tomato cucumber potato onion egg-plant cabbage bean apple pear peach orange lemon apricot strawberry dinner great! Love v Prefer Really?	How many are there? I don't like	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
15	HOW MUCH IS BREAKFAST?	Cheese Bread Butter Honey jam milk tea yogurt cost v buy money eat drink v	How much? Some (sing.)	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
16	I DO IT EVERY DAY.	Everyday activities Parts of the day early late Numbers 11-20	Pres simple I go He/she goes at (2 o'clock) in (the morning) with	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 13 – 16		ბ2,3
17	WHAT ARE YOU DOING?	More everyday activities That's good! There he/she is. There they are.	Present continuous affirmative and interrogative, all persons we our	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
18	IT HAPPENS EVERY MORNING.	Morning activities Days of the week	Pres simple Pres continuous What's the time? What's today?	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
19	WHAT DO THEY LOOK LIKE?	Quality adjectives That's better.	Why? Too + adj	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
20	IN MY HOME	Kitchen utensils Furniture bottle packet		მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 17 – 20		ბ2,3
21	THIS IS WHERE I LIVE.	House/flat escription go up go down sleep cook v live v That's me! address street	Whose? Possessive 's Present simple negative: does not	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1

		"The Three Bears" - reading		
22	WHAT'S THE WEATHER LIKE?	Weather conditions Months Birthdays I'm sorry! You're lucky! spell v	In + month What is...like?	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
23	I LOVE BEING HAPPY!	Home technique Moods because meet talk What's the matter? I don't know. Tired "The Three Bears" - reading	Gerund (after like/love/hate) Why? Because	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
24	IT'S GREAT FUN!	Expressing emotions jeans sneakers bike guitar anorak CD puppy present (gift) from (+ person) cinema beach swimming pool party countryside roundabout swing n. slide n. "The Three Bears" - reading	Want to	მ1, 2, 3, ლ1,2, კ1 წ1
	WHAT I KNOW SO FAR	Workbook units 21 – 24		ს2,3

IV

როგორ ვასწავლოთ ამ წიგნით

1. მასწავლებლისთვის მოსახერხებელი მეთოდოლოგია.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ამ წიგნით სწავლება არ არის ძნელი. წარმატებით და სახალისო გაკვეთილის ჩატარება შეუძლია გამოუცდელ მასწავლებელსაც კი. მას არც გაკვეთილის ჩასატარებლად მომზადებისთვის არ დასჭირდება დიდი დრო. სავარჯიშოების ტიპების რაოდენობა შეზღუდულია. მოსწავლეები უმეტეს დროს იმეორებენ მასწავლებლის ნათქვამ სიტყვებსა და ფრაზებს, პასუხობენ შეკითხვებს, აწვილებენ სიტყვებს სურათებთან, სწავლობენ მოკლე საუბრებს ზეპირად, ამ ნიმუშზე აგებენ ახალ დიალოგებს და ასრულებენ მათ კლასში, სწავლობენ მარტივ სიმღერებსა და ლექსებს – ეს არის ის სავარჯიშოები, რომლებიც ნაცნობია ყველა მასწავლებლისთვის და ადვილია შესასრულებლად მცირე მომზადების შემდეგ. (თუმცა, უფრო გამოცდილმა მასწავლებელმა შეიძლება მოინდომოს გააუმჯობესოს შემოთავაზებული მეთოდოლოგია საკუთარი გამოცდილების და სწავლების სტილის შესაბამისად).

თამაშების პრობლემა. თუმცა ძირითადი სავარჯიშოების ორგანიზება არ მოითხოვს მასწავლებლის მხრივ დიდი გამოცდილების ქონას, თამაშები მოითხოვს მასწავლებლის კარგ მომზადებას, ყურადღებით დაფიქრებას და დაგეგმვას, რადგან თამაშები მოითხოვს მკაცრი წესების დაცვას. ისინი სწავლის მეტისმეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს თავისი „კომუნიკაბელობის“ გამო და თუ ისინი არ არის კარგად და ზუსტად ორგანიზებული, შეიძლება დაიკარგოს მათი ხალისიანობა და ეფექტურობა. ასე რომ, მასწავლებელი მუდმივად უნდა ეცადოს გააუმჯობესოს თამაშების ჩატარების მსვლელობა.

ინგლისურისა და მშობლიური (ქართული) ენის გამოყენება გაკვეთილზე.

ენის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე ესმოდათ რაც შეიძლება მეტი ინგლისური ენა. მაგრამ სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ სავარჯიშოებს, რომელთა ორგანიზება კლასში თავდაპირველად რთულია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ქართული ენის გამოყენება:

- იმის ასახსნელად, თუ რა უნდა გააკეთონ ამ სავარჯიშოს/თამაშის შესრულებისთვის,

- რომ გაარკვიოთ, სწორად თუ გაიგეს გრამატიკული 'წესი'. გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა რომ მოსწავლეებს ელაპარაკოთ ინგლისურად ყოველდღიური ურთიერთობის დროს, აგრეთვე, გაკვეთილის წარმართვისთვის. უზრუნველყავით მოსწავლეები ყოველდღიური ინგლისურენოვანი გარემოთი კლასში.

2. ოთხი სამეტყველო უნარ-ჩვევა

მთელი კურსის განმავლობაში მოსწავლეები ვარჯიშობენ მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში. ამ საფეხურზე, ისინი ახალ ენობრივ მასალას (დექსიკასა და გრამატიკას) სწავლობენ ძირითადად მოსმენისა და ლაპარაკის და არა კითხვისა და წერის საშუალებით. ამავე დროს, მოსმენისა და ლაპარაკის დროს, ისინი მიუსადაგებენ სიტყვებსა და წინადადებებს თვალთ დანახულ შინაარსს. ყველაფერი, რასაც ისინი გაიგონებენ თუ იტყვიან, დაკავშირებულია ან სურათებთან, ან ადამიანებთან, ან საკლასო ოთახში მიმდინარე მოქმედებებთან. ამიტომ სანამ კითხვაზე და წერაზე გადავიდოდნენ, ისინი მეტწილად დაკავებული იქნებიან მოსმენითა და ზეპირი მეტყველებით. ძალიან მიახლოებით, ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სხვადასხვა სამეტყველო უნარ-ჩვევაზე დასახარჯი დროის პროპორციულობას.

Lesson	Listen%	Speak%	Read%	Write%	Total
1	70	15	10	5	100%
2	60	25	10	5	100%
3	50	35	10	5	100%
4 (WkBk)	5	5	75	15	100%

- დროის განაწილების ამ ცხრილის მოყვანის მიზანია გვაჩვენოს, რომ:
1. მოსმენას და ლაპარაკს უჭირავს კვირაში სამი საათის უმეტესი ნაწილი (85%), და ლაპარაკის ოდენობა თანდათან მატულობს.
 2. ბევრად მეტი დრო უჭირავს რეცეპტულ უნარ-ჩვევებს – მოსმენა და კითხვა, ვიდრე პროდუქტულს – ლაპარაკსა და წერას,
 3. კითხვა და წერა ძირითადად ვარჯიშდება (90%) სავარჯიშო წიგნის მეშვეობით.

მოსწავლის წიგნში თითოეული დასამუშავებელი უნარ-ჩვევა აღნიშნულია პატარა სურათებით -
 1 – ძირითადად მოსმენისთვის, 2 – კითხვისთვის, 3 – ლაპარაკისა და 4 – წერისთვის.



3. ახალი ენობრივი მასალის გაცნობა და ვარჯიში.

ახალი სიტყვებისა და ახალი გრამატიკის შესწავლა, თავისი ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, დამყარებულია პროცედურაზე, რომელიც ასეთი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი:

შეიცანი – აჩვენე – ივარჯიშე

მაგრამ, საწყის საფეხურზე, მცირეწლოვან ბავშვებთან, მნიშვნელოვანია, რომ მათ არ შეხვედეთ დაწერილი სიტყვები, სანამ არ გაითავისებენ სიტყვების ჟღერადობას.

1. თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა შეიცნონ ზეპირსიტყვიერი სიტყვა/ფრაზა/ წინადადება და მისი მნიშვნელობა, და ამის შემდეგ ივარჯიშონ მის გამოთქმაში (დავალება: **Say it again.**)
2. შემდეგ ისინი აჩვენებენ, რომ შეუძლიათ დააკავშირონ ზეპირი სიტყვა მნიშვნელობასთან (**Which picture? Find the picture. Tell me about... Answers please**),

3. ამის შემდეგ უყურებენ და შეიცნობენ სიტყვის წერილობით ფორმას და კითხულობენ ხმამაღლა (**Look and say**),

4. ამის შემდეგ მათ ეძლევათ დავალება დაუკავშირონ წერილობითი ფორმა მის მნიშვნელობას (**Which picture? Put in the numbers. Something missing...**),

5. ბოლოს, ისინი ვარჯიშობენ ახალი სიტყვებისა და ფრაზების ისეთ კონტექსტში გამოყენებაში, რომელიც ნათლად გამოხატავს მათ მნიშვნელობას (**Have a chat. Games. Songs and rhymes. Workbook activities**).

4. სამი ძირითადი სასწავლო დავალება :

Say it again. Look and say. Have a chat.

Say it again.

იგი წარმოადგენს ვარჯიშს ახალი ბგერების მოსმენასა და მობადვით წარმოთქმაში. მისი მიზანია ახალი სიტყვებისა და ფრაზების ზეპირი ფორმების შემოყვანა/გაცნობა, და

მოსწავლეების მიერ მათი კარგად წარმოთქმის უზრუნველყოფა, თან ფორმის მის შინაარსთან დაკავშირება. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ ახალი სიტყვებისა და ფრაზების წარმოთქმა და მათი მნიშვნელობა, საჭიროა ჯერ მოისმინონ, შემდეგ წარმოთქვან, ძალიან ბევრჯერ, თან ამავე დროს ესმოდეოთ მნიშვნელობა. ამისთვის საფეხურები შემდეგია:

1. მასწავლებელი ჯერ წარმოთქვამს ახალ სიტყვებს, ძალიან მკაფიოდ (ნიმუშები მასწავლებლის აუდიოჩანაწერშია), ხოლო მოსწავლეები ისმენენ და თან უყურებენ სურათებს.
2. მთელი კლასი იმეორებს სიტყვებს მასწავლებელთან ერთად/მის შემდეგ, თან უყურებენ სურათებს.
3. მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს მცირე ჯგუფებში (თუ საჭიროდ ჩათვლით).
4. ცალკეული მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს.

ახალი სიტყვების გაცნობის უფრო სახალისო გზაა „სრული ფიზიკური პასუხის“ (Total Physical Response-TPR) ტექნიკის გამოყენება. მას შეიძლება მიემართოს სიტყვების გამეორების ფაზის წინ – სანამ მოსწავლეები წარმოთქვამდნენ ახალი სიტყვების ბგერებს.

მოვიყვანოთ ამ ტექნიკის პროცედურის მაგალითს – თემა მე-5, „ტანსაცმელი“.

ლექსიკური მასალა: shirt, skirt, jacket, T-shirt, cap, shoes, trousers, shorts, trainers.

1. მასწავლებელი მიუთითებს ან შეეხება საგანს/ მის სურათს და ამბობს სიტყვებს **shirt, jacket...**
2. მასწავლებელი მოიწვევს თავის მაგიდასთან 3-4 მოსწავლეს, სადაც დაწოილი აქვს (ან დაფაზე დახატული აქვს ძალიან მარტივად – მთავარია მოსწავლეებთან შეთანხმდნენ, რომელი ნახატი რას ასახავს). წარმოთქვამს რომელიმე საგნის სახელს და სთხოვს აჩვენონ ეს საგანი. მაგ. **Show me a shirt. Show me a jacket....** მათ ევალუბათ თავისი მიხედვის მიხედვით მიუთითონ რომელიმეზე, თუ დაემთხვა, მასწავლებელი შეაქებს, და კლასს გაამეორებინებს ამ საგნის სახელს. თუ არ დაემთხვა, მეორე, მესამე მოსწავლე ცდილობს მოხედეს, რომელია. ამასობაში მასწავლებელი ამბობს – **No, it's wrong. It isn't a _____, it's a _____.** რაც მოამზადებს შემდეგი სიტყვის მიხედვის ნიადაგს.

კიდევ ერთი მაგალითი. თემა: რიცხვები 1 – 10.

1. დაწერეთ დაფაზე რიცხვები 1 – 10, თითოეული რიცხვი ორ-სამჯერ.
2. გამოიძახეთ მოსწავლეები რიგ-რიგობით დაფასთან და უთხარით : **Show me 2. Show me 7...** ისინი მიუთითებენ რომელიმე რიცხვზე.
3. გამოიძახებული მოსწავლეები დაფასთან რჩებიან მანამ, სანამ-
 - ა) დაუშვებენ შეცდომას, ან
 - ბ) ყველა რიცხვს სწორად გამოიცნობენ.

Look and say

სავარჯიშოს მიზანია მოსწავლეებს გააცნოს ახალი სიტყვების/ფრაზების წერილობითი ფორმები მათ მნიშვნელობასთან ერთდროულად. მოსწავლეები უკვე გაეცნენ ამ სიტყვების ზეპირ ფორმებს. ახლა მათ უნდა შეუსაბამონ ზეპირი და წერილობითი ფორმები ერთმანეთს. ამიტომ:

1. მასწავლებელი უჩვენებს სიტყვებს – დაფაზე, ან ბარათებზე, ან წიგნში და კითხულობს მათ ხმამაღლა.
2. მოსწავლეები უყურებენ დაწერილ/დაბეჭდილ სიტყვებს და მასწავლებელთან ერთად – მის შემდეგ – კითხულობენ/იმეორებენ თითო-თითო, შემდეგ მცირე ჯგუფებში.
3. შემდეგ მასწავლებელი უჩვენებს სიტყვებს (ბარათებს) და მოსწავლეები კითხულობენ ხმამაღლა – თითო-თითო, შემდეგ მცირე ჯგუფებში.

'Chain reading.'

სახალისო სავარჯიშო სიტყვისა და წინადადების ცნობისთვის – ჯაჭვური კითხვა **'chain reading.'** ეს არის სიტყვების, ფრაზებისა და მთელი წინადადებების ცნობის სწრაფ-მოძრავი ვარჯიში. როგორ უნდა შევასრულოთ:

- მოამზადეთ ბარათები – თითოზე ერთი სიტყვა, ერთი ფრაზა ან ერთი წინადადება.
- მოსწავლეები დააყენეთ წრიულად – თითო წრეში 8 ან 10 მოსწავლე.
- 'წამყვანს' თითოეულ წრეში დააჭერინეთ 3 – 10 ბარათი, ერთ ჯერზე ერთი უნდა გადააწოდოს.
- წამყვანი კითხულობს ხმამაღლა პირველ ბარათზე დაწერილ სიტყვას/წინადადებას და გადასცემს ბარათს თავის გვერდით მდგომს, რომელიც აგრეთვე კითხულობს და გადასცემს შემდეგს და ა.შ. სანამ ბარათი ბოლომდე არ გავა.
- ამასობაში 'წამყვანი', შეუსვენებლად, იგივეს აკეთებს მეორე ბარათით.
- მოქმედება დასრულდება, როდესაც ყველა წაიკითხავს ყველა ბარათს.

ჯაჭვური კითხვა კარგად მოქმედებს, როდესაც ა) ბარათები იმდენივეა რამდენიც მოსწავლე, რომ არ სჭირდებოდეთ მომდევნო ბარათისთვის ლოდინი, და ბ) ბარათებზე ნაირ-ნაირი სიტყვები/ფრაზები/წინადადებებია, რომ მათ სჭირდებოდეთ დახედონ ბარათს წარმოთქმამდე და წაუკითხავად არ გაიმეორონ გვერდით მდგომის წაკითხული.

Have a chat.

ამ მოკლე დიალოგების/საუბრების მიზანია ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებაში ვარჯიში უფრო კომუნიკაციური გზით, როდესაც მოსწავლემ უნდა მოისმინოს მეორე მოლაპარაკის ნათქვამი და შესაბამისად უპასუხოს მას. ეს საუბრები სახალისოა, რადგან სიმღერებისა და ლექსებისგან განსხვავებით ტექსტს ზეპირად კი არ იმეორებენ, არამედ ჩაბმული არიან ცოცხალ 'საუბარში'. რომლის დროსაც ორივემ უნდა მოუსმინოს ერთმანეთს და ლოგიკური პასუხი გასცეს ისე, რომ საუბარი უაზრო არ გამოვიდეს.

ამისთვის,

- 1) წიგნში უმეტეს შემთხვევაში მოცემულია დიალოგის ორი ვერსია იმის მაჩვენებლად, რომ ეს არ არის ერთადერთი ვარიანტი. მოსწავლეებმა უნდა შექმნან კიდევ სხვები ამ თემაში ნასწავლი სათანადო სიტყვების თავისი სურვილისამებრ საუბრის სხვადასხვა ნაწილებში ჩანაცვლებით, და უპასუხონ იმის მიხედვით, თუ რას იტყვის მეორე მოსაუბრე.
- 2) დიალოგის ირგვლივ განთავსებულია იმ საგნების სურათები, რომლების შესახებაც უნდა ილაპარაკონ, ანუ ალტერნატიული სიტყვები ჩასანაცვლებლად, ნებისმიერი ლოგიკურად მისაღები სიტყვები შესასწავლი ან უკვე გასული თემებიდან.

მაგალითად, მე-8 თემაში არის ეს დიალოგი:

A: Is this your pencil? B: Yes. Please put it next to my book. A: There you are. B: Thanks.

და მეორე ვარიანტი:

A: Is this your pencil? B: Yes, Please put it on my chair. A: There you are. B Thanks.

შესაცვლელი სიტყვები ხაზგასმულია. B - მეორე მოსწავლეს შეუძლია შეცვალოს ისინი თავისი სურვილის მიხედვით სხვა მისთვის ნაცნობი სიტყვებით *in, on, under or between*, და *book, chair, notebook, floor, desk, jacket.....* და A მოსწავლე იძულებულია მოუსმინოს რომ შესაბამისი პასუხი გასცეს, მან წინასწარ არ უნდა იცოდეს, რომელ სიტყვას ჩასვამს იგი, ასე რომ პასუხიც წინასწარ მომზადებული არ უნდა ქონდეს.

ამ დიალოგების სწავლების მარტივი პროცედურა ასეთია:

1. მასწავლებელი უკითხავს კლასს მთელ დიალოგს, უსტებიოა და ახსნა-განმარტებებით საჭირო შემთხვევაში, რომ აზრი ნათელი იყოს.
2. მასწავლებელი იმეორებს დიალოგს/ასმენინებს მაგნიტურ ჩანაწერს, და მოსწავლეები გუნდურად იმეორებენ თითო-თითო ხაზს.
3. მასწავლებელი (A) ახდენს დიალოგის დემონსტრირებას ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად (B).

4. მოსწავლეები გაითამაშებენ დიალოგს წყვილ-წყვილად, თითო წყვილი ერთ ჯერზე – კლასის წინ, ან ერთი მოსწავლე კლასის ერთ ბოლოში, მეორე – მეორე ბოლოში, ისე, რომ ყველას ესმოდეს.
 5. მოსწავლეები დადიან კლასში, აირჩევენ თანამოსაუბრეს, და ესაუბრებიან, თითომ 4-5 უნდა გაესაუბროს.
- ეს ბოლო ყოველთვის არ არის შესაძლებელი, როგორც ზემოთ მოცემულ მაგალითში.

კიდევ ერთი მაგალითი მე-ნ თემიდან :

A. What is your favourite colour, Nino? B. My favourite colour is red. A. Really? I hate red.

დიალოგის ირგვლივ 21 გვერდზე არის სიტყვების ბარათები სხვადასხვა ფერების აღმნიშვნელი სიტყვებით. მოსწავლეები არჩევენ ნებისმიერ ფერს და ასრულებენ დიალოგის საკუთარ ვერსიას.

თითების 'finger puppets' თოჯინების გამოყენება: ამ დიალოგების შესრულება შეიძლება თითებზე დახატული სახეების გამოყენებითაც. მოსწავლეები შეიძლება ნაკლებ იმორცხვებდნენ როდესაც სხვა პირს ახმოვანებენ, ვიდრე თვითონ ლაპარაკობდნენ (იხ. მოსწ. წიგნი, გვ 5).

შეიძლება გამოიყენონ ქაღალდის თოჯინებიც. (იხ. სავარჯიშო წიგნი, გვ.7).

ამ მიზნით ჩვენ სავარჯიშო წიგნში ჩავრთეთ მაგიდის თოჯინების თეატრის თარგი, რომელიც მოსწავლეებმა თვითონ უნდა გამოჭრან, დააწებონ მუყაოს ქაღალდზე და გააფერადონ. შემდეგ გამოჭრან და სახაზავის ფორმის მუყაოზე დააწებონ თეატრში მონაწილეთა ფიგურები, თეატრის გვერდითი ჭრილიდან ამოძრავონ ისინი და თვითონ გაახმოვანონ დიალოგები, ხოლო წლის ბოლოს – სამი დათვის ზღაპარი.

შენიშვნა: ამ დიალოგებში შეგხვდებით ფრაზები, რომლებიც წინასწარ არ იყო ნასწავლი როგორცაა *Here you are. I'll look there.....* ეს დადგენილი სასაუბრო ფრაზებია, რომლებიც დიალოგში არ შეიცვლება, მათი გაანალიზებაც არ არის საჭირო გრამატიკული სტრუქტურის მხრივ, უბრალოდ აუხსებით და დაამახსოვრებინეთ. ასე მაგალითად *'I'll look there.'* გამოყენებისას მე-20 თემაში, არ უნდა ვასწავლოთ მომავალი დრო და *'will'*!

5. რატომ არის Have a chat, თამაშები, ლექსები და სიმღერები განთავსებული თემის ბოლოს?

ამ დავალებების შესრულებისთვის 'სწორი' დრო არ არსებობს. ერთადერთი შემზღვეველია, რომ მათში გამოყენებული სიტყვები/ფრაზები უკვე ნასწავლი უნდა იყოს და გასაგები მოსწავლეებისთვის. ამიტომ შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი ნებისმიერ თქვენთვის მისაღებ დროს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის იქნებიან თქვენი მოსწავლეები მზად გამოიყენონ ისინი გაგებით, და შესაბამისად, რამდენად სახალისო იქნება ისინი მათთვის.

ზოგიერთი დიალოგი, თამაში, ლექსი და სიმღერა ბავშვებს უფრო მოეწონებათ ვიდრე სხვები. გაამეორებინეთ ისინი იმდენჯერ, რამდენჯერაც არ მობეზრდებით და სიამოვნებით გაიმეორებენ. თამაშებისთვის შეგიძლიათ რაიმე ვარიაციები გამოიყენოთ. დიალოგები ნასწავლი თემების ენის გამეორების შესანიშნავი საშუალებაა.

6. სიტყვებისა და სურათების ბარათების გამოყენება

სიტყვებისა და სურათების ბარათები არის შეუცვლელი საშუალება როგორც ახალი ენობრივი მასალის შემოტანის, ასევე მისი გამეორების დროს. ისინი წარმოადგენს მოსწავლის წიგნში მოცემული **Say it again** და **Look and say** დავალებებში სურათებისა და სიტყვების უკეთეს აღტერნატივას, რადგან ბარათის ჩვენებისას მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ყველა მოსწავლე უყურებს სიტყვას/ფრაზას და სურათს, რომელიც მას უნდა რომ შეასწავლოს. გამეორებისთვის და დამატებითი ვარჯიშისთვის ისინი აგრეთვე შეიძლება გამოიყენოთ როგორც 'ასაფრიალებელი ბარათები' 'flash' cards', როდესაც მათი ჩვენება ხდება ძალიან სწრაფად (1-2 წამით) და მოსწავლეებმა უნდა წამოიძახონ, რა იყო ბარათზე.

7. თამაშები

მოსწავლეებისთვის კლასში თამაში ძირითადად არის ვარჯიში, რომელსაც ასრულებენ გართობის მიზნით. მასწავლებელმაც იცის, რომ თამაშები არის სწავლის განსაკუთრებით ეფექტური საშუალება. ამას ემატება აგრეთვე შეჯიბრის ფაქტორი. თამაში შეიძლება ძალიან სახალისო იყოს, როდესაც მთელი კლასი იმეორებს სიტყვებს მასწავლებლის შემდეგ, მაგრამ თამაშად გადაიქცევა მხოლოდ თუ შეიცავს შეჯიბრის რაიმე ელემენტს, და ბოლოს გამოცხადდება 'გამარჯვებული'.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ასეთი თამაშის აღწერილობა, რომელიც შეგიძლიათ გააკეთოთ ზე გამოიყენოთ.

Bingo

მრავალმხრივი თამაში, რომელიც გამოიყენება ენობრივი მასალის გამოყენებაში ვარჯიშის მიზნით. ამ თამაშის თავდაპირველი ფორმა: ყველა 'მთამაშეს' უჭირავს ბარათი 15 ნებისმიერი რიცხვით 1 – 100 ფარგლებში. 'წამყვანი' ამოიძახებს რიცხვებს და მთამაშეები გადახაზავენ ამ რიცხვს თავის ბარათზე. ვინც დაამთავრებს თავისი რიცხვების გადახაზვას, დაიძახებს **Bingo!** ამის შემდეგ მის რიცხვებს შეამოწმებენ მოტყუების თავიდან ასაცილებლად. თუ დაემთხვა, გამოაცხადებენ გამარჯვებულად.

ჩვენს ვერსიაში, მოსწავლეები თვითონ ადგენენ რიცხვებიან ბარათებს და წერენ მასში მასწავლებლის მიერ (დაფაზე) მოცემული სიიდან ნებისმიერ სიტყვას ან რიცხვს.

მაგალითი 1: (1-20 რიცხვების სავარჯიშოდ). მოსწავლეები დახაზავენ 6 რიცხვისთვის უჯრებს, შიგ ჩაწერენ ნებისმიერ რიცხვს 1 – 20 მდე. მასწავლებელი ჩაივლის მერხების რიგებს და შეამოწმებს, სწორად გააკეთეს თუ არა. შემდეგ ამოიძახებს რიცხვებს არეულად (თან უნდა ჩაიწეროს, რა ნომრებს ამოიძახებს, ბოლოს შესამოწმებლად). მოსწავლეები უსმენენ და თავის ბარათში გადახაზავენ ამოიძახებულ რიცხვს. როდესაც პირველი მოსწავლე დაიძახებს **Bingo!** შეამოწმებს, მართლა თუ იყო ყველა რიცხვი ამოიძახებული, და გამოაცხადებს მას გამარჯვებულად.

მაგალითი 2: (ლექსიკის სავარჯიშოდ). მასწავლებელი წერს დაფაზე 10 საჭმლის სახელს. მოსწავლეები სწრაფად ხატავენ 3 მათგანის სურათებს (ან წერენ შესაბამის ქართულ სიტყვებს). ამის შემდეგ მასწავლებელი ამოიძახებს ამ 10 საგნის სახელებს არეულად.

როგორც ამ მაგალითებშია მოცემული, მოსწავლეების ბარათები უნდა შეიცავდეს გამოსაძახებელი სახელების მესამედს.

შენიშვნა: Bingo პირველად ითამაშება ასოებით (თემა 4), და ასოები ერთიდაიგივეა ყველა მოსწავლისთვის – ყველას ერთიდაიგივე ბარათი აქვს. მაგრამ შემდგომში ისინი თვითონ ირჩევენ ბარათში ჩასაწერ სიტყვებს მასწავლებლის მითითების მიხედვით.

Simon says

ძალიან ცოცხალი თამაში, რომელიც მოითხოვს მკაცრ მსაჯს იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ ამოვარდა (is 'out'). იგი მდგომარეობს ძირითადად მოსწავლეების მიმართ ბრძანებების გაცემაში რაიმე მოქმედების შესასრულებლად (თვითონ, ან სხეულის რომელიმე ნაწილის სამოძრაოდ). ამოვარდება ის 'მთამაშე', რომელიც სწრაფად არ დაემორჩილება ბრძანებას. მაგრამ ბრძანებას მთამაშეები უნდა დაემორჩილონ მხოლოდ თუ იგი იწყება სიტყვებით 'Simon says', რაც თამაშს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. მაგალითად, თუ იტყვიან 'Put your hands up!' მოსწავლეები, რომლებიც შეასრულებენ ბრძანებას, ამოვარდებიან 'are out'. თუ იტყვიან: 'Simon says: Raise your hands', ამოვარდება ყველა, ვინც არ შეასრულებს ბრძანებას. ამ თამაშში მონაწილეობს მთელი კლასი, მაგრამ შეიძლება მისცეთ ამას ჯგუფური შეჯიბრის სახე.

ჯგუფური შეჯიბრი: 4-5 მოსწავლისგან შემდგარი ორი ჯგუფი დააყენეთ კლასის წინ, ფინალში ათამაშეთ ორივე ჯგუფის გამარჯვებული, და ბოლოს გამოაცხადეთ გამარჯვებული ჯგუფი.

შენიშვნა: სასურველია ერთი მოსწავლე დანიშნოთ 'მსაჯად', რომელიც გადაწყვეტს, ვინ ამოვარდა და ვინ მოიგო. ეს მოგცემთ საშუალებას უფრო ყურადღებით გასცეთ ლოგიკური ბრძანებები (ფრთხილად უნდა იყოთ, როდის დაამატოთ 'Simon says' და როდის არა).

გაფუჭებული ტელეფონი

ამ თამაშის მიზანია მკაფიოდ გამოთქმაში ვარჯიში. მოთამაშეები სხედან/დგანან ერთ რიგად. პირველი ყურში უჩურჩულებს გვერით მჯდომს/მდომს სიტყვას/ფრაზას, მეორე გადასცემს მესამეს და ა.შ. ბოლო მოთამაშემ უნდა დაწეროს ან მასწავლებელს უთხრას, რაც გაიგონა. მოთამაშეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს, და მოგებული იქნება ის ჯგუფი, რომლის ბოლო სიტყვა თავდაპირველთან ყველაზე ახლოს იქნება. მარტივი მაგალითი, სადაც 3-ასობანი სიტყვებია გადასაცემი, მოცემულია თემა 12-ში.

სასურველია, რომ მოსწავლეთა რიგები იყოს არაუმეტეს 4 მოთამაშისა. შეჯიბრიც უჯობესია 2-3 ჯგუფს შორის. გადასაცემი სიტყვა შეიძლება იყოს ნებისმიერი – საგნის სახელი, რიცხვი ან ფრაზა, რომელსაც თქვენ ჩათვლით, რომ მოსწავლეები წარმატებით გაართმევენ თავს. მაგრამ უნდა აკონტროლოთ, რომ მეტისმეტად ახლოს არ იდგნენ ერთმანეთთან, ან ხმამაღლა არ თქვან.

Buzz

ეს არის ცოცხალი – და არც თუ ძალიან ხმაურიანი – სათვლელი თამაში. მოთამაშეები დგანან ერთ დიდ წრეში და ამოიძახებენ რიცხვებს რიგ-რიგობით. მაგრამ რაიმე წინასწარ შეთანხმებული რიცხვის ჯერადის (მაგ. 3-ის, ან 5-ის ჯერადის) ნაცვლად, ვისი რიგიც მოუწევს, უნდა თქვას Buzz. თამაშის მიმდინარეობა ასეთი იქნება: 1st St: One, 2nd St: Two, 3rd St: BUZZ, 4th St: four, 5th St: five, 6th St: BUZZ, 7th St: seven და ა.შ. ვინც შეანელებს ტემპს, ან გამოტოვებს Buzz – ამოვარდება (is out). იგი ტოვებს წრეს, და მის შემდეგ მდგომი იწყებს თვლას 1-დან. თამაში გრძელდება სანამ ერთი მოსწავლე არ დარჩება, რომელიც გამოცხადდება გამარჯვებულად.

What's in my bag? (and Kim's game)

თამაში **Kim's game** მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები სწრაფად (ხანმოკლე დროის მანძილზე) შეხედავენ მაგიდაზე გაშლილ 10 – 20 საგანს, ცდილობენ დაიმახსოვრონ სანამ რაიმეს გადააფარებთ, შემდეგ დაწერენ რაც დაიმახსოვრეს.

What's in my bag? არის მისი ვარიანტი. აავსეთ პარკი/ტომარა/ჩანთა მოსწავლეებისგან შეგროვებული საგნებით, მაგალითად 8 ფანქარი, 9 კალმისტარი, 6 წიგნი, 7 სურათი. სადემონსტრაციოდ, დდაჭერინეთ ეს პარკი ერთ მოსწავლეს და მიმართეთ: **Give me a (book)**. ისიც ამოიღებს წიგნს და მოგცემთ. სთხოვეთ 2 სხვა საგანი და ა.შ. დააბრუნეთ ეს საგნები პარკში.

თამაშის დროს სხვადასხვა მოსწავლეები მოსთხოვენ სხვადასხვა საგნებს, თითო ჯერზე თითოს. თუ მოსწავლე მოსთხოვს საგანს, რომელიც არ არის პარკში, იგი გამოვარდება თამაშიდან. გამარჯვებულია ის, რომელიც სწორად მოითხოვს ჩანტიდან ბოლო საგანს.

ვარიანტი: საგნების მაგივრად გამოიყენეთ რიცხვების ბარათები – თითოეული რიცხვის რამდენიმე ბარათი. მაშინ მოთხოვნა იქნება ასეთი: **Give me a three. Give me a seven. Give me a ten.**

არჩევითი

ზღაპარი GOLDILOCKS AND THREE BEARS

სავარჯიშო წიგნის ბოლოს არის ზღაპარი. იგი ადაპტირებულია ისე, რომ მე-3 კლასის წიგნის ბოლოს მოსწავლეებს შეეძლებათ მისი გაგება.

არ არის საჭირო მისი მოყვლა!

- 1) წაუკითხეთ ზღაპარი მოსწავლეებს, თითო ნაწილი თითო ჯერზე. მიაქცევინეთ ყურადღება სურათებზე.
- 2) მიეცით დავალება მიუსადაგონ თითოეული ნაწილი სურათს.
- 3) მიეცით დავალება გამოჭრან, გააფერადონ, დააწებონ მუყაოს ქაღალდზე ზღაპრის პერსონაჟები. გამოჭრან სახაზავის ფორმის ზოლი, და დააწებონ თითო თოჯინაზე, რომ თეატრი გვერდითა ჭრილში შეაცურონ და თოჯინა იქიდან ათამაშონ.
- 4) მიეცით დავალება გაათამაშონ ცალკეული ნაწილები თოჯინების თეატრის სახით.

მაგიდის თოჯინების თეატრი

სავარჯიშო წიგნს ახლავს (2 გვერდის ზომის ფურცელი) მაგიდის თოჯინების თეატრის ნახაზი. როდესაც ჩათვლით დროულად, მიეცით დავალება მოსწავლეებს გამოჭრან თეატრის ნახაზი – სრული სახით მისი სურათი არის პლაკატზე. მათ უნდა დააწებონ იგი მუყაოს ქაღალდზე, გააფერადონ, დააკეცონ აღნიშნული ხაზების გასწვრივ და მისცენ მაგიდის თეატრის ფორმა. ამ თეატრის გამოყენება შეიძლება ყველა გაკვეთილში მოცემული დიალოგების გასათამაშებლად, მოსწავლეების მიერ გაკეთებული შესაბამისი თოჯინების მონაწილეობით. ქაღალდის თოჯინის გაკეთებისთვის აგრეთვე იხ. სავარჯიშო წიგნი, გვ. 7.

V სანიმუშო გაკვეთილები

მოვიყვანო სანიმუშო გაკვეთილებს თემა I მაგალითზე.

Unit 1

გაკვეთილის მიზანი:

- a) Asking for and giving names.
- b) Recognising names written in English.
- c) Differentiating his/her
- d) Saying good-bye.
- e) Numbers 1 -10

მასალები: თითო მოსწავლისთვის ბარათი ბეჭდური ასოებით დაწერილი თავისი სახელით, მაგ.: **Giorgi**. სახელები ამოიწერეთ უურნალიდან.

Lesson 1

- **A.** გააცანით თქვენი თავი კლასს. მიესალმეთ და თქვით ინგლისურად – მკაფიოდ და თავისუფლად, შეგიძლიათ მისაღმება რამდენჯერმე გაიმეოროთ : **Hello, I am your English teacher, my name is...**
- დაწერეთ თქვენი სახელი ინგლისურად დაფაზე. (მაგ.: **Marina – first letter – capital, others – small.** თავიდანვე ჩვეულებრივი პატარა ასოები და ასომთავრული აჩვენეთ).

1. **Have a chat.** სახელის კითხვა და პასუხი.

2. შეგიძლიათ დემონსტრირება თითებზე დახატული სახეებით მოახდინოთ: **A: Hello, what's your name? B: (Giorgi) What's your name? A: (Anna).**

- მოსწავლეები იმეორებენ ამ დიალოგს – ორი თითის სახეები საუბრობენ.
- ყველა მოსწავლე იმეორებს დიალოგს სხვადასხვა მოსაუბრესთან – კლასში დადიან და ერთმანეთს ეკითხებიან.

შემდეგ:

მასწავლებელი კითხულობს, 1) კლასი პასუხობს, 2) მცირე ჯგუფები 3) წყვილები პასუხობენ.

ჯაჭვური დიალოგი: **A asks B, who asks C, who asks D.....round the class: What's your name?**

My name is.....

B. მოსწავლეების სახელების გამოკითხვა, სახელებიანი ბარათების დარიგება.

- მიმართეთ მოსწავლეებს, რომელთა სახელებიც იცით, რომ დაგიდასტურონ: **T: Your name is (Giorgi), is that right? S: No/Yes. (T – მასწავლებელი, S – მოსწავლე).**
- მიმართეთ მოსწავლეებს, რომელთა სახელებიც არ იცით და გაიგეთ, რა ქვიათ. ცადეთ მიხედეთ, რომ აპასუხებიანთ **No** და **Yes**. **T: What's your name? Is it...? S: Yes/No.**
- შემდეგ დაარიგეთ სახელებიანი ბარათები. თუ შესძლებენ, მიიბან მკერდზე ქინძისთავეებით, ყველას დასანახად. მიეცით გარკვეული დრო რომ დაათვალიერონ თავისი და ახლოს მჯდომი ამხანაგების ბარათები, გაეცნონ ინგლისურ ასოებს. დართეთ ნება იმობრავონ კლასში და შეხედონ ერთმანეთის სახელების დამწერლობას.
- ჩამოართვით ბარათები, აჩვენეთ თითო-თითო, ამოიძახეთ სახელი, მოსწავლეები უყურებენ ბარათს და იმეორებენ.
- დაურიგეთ ბარათები მფლობელებს.

2. **დაწერილი სახელების ამოცნობა** (მოსწ. წ. გვ. 4)

- დააჯგუფეთ მოსწავლეები 4-5 მოსწავლე თითოში. თქვით: **(Nato).** მოსწავლეებს გაშლილი აქვთ თავისი ჯგუფის ბარათები, მოიძიებენ და ასწევენ ზევით. გაიმეორეთ თითო სახელი 2-3-ჯერ, ტემპს აუჩქარეთ.

ვარიანტი: იარეთ რიგებს შორის, ასწიეთ ბარათები რიგ-რიგობით ყველას დასანახად, ისინი 'წაიკითხავენ' (ამოიცნობენ, როგორც ნახატს) და იტყვიან სახელს.

- დააჯგუფეთ 6-6-ად. გააშლევინეთ ბარათები ნაწერით ზევით. ამოიკითხეთ თითო სახელი ჟურნალიდან.
- ვინც პირველი იპოვის სახელს, შეეხება ბარათს, დატოვებს მას ადგილზე და ადგება.
- გააგრძელეთ ამოკითხვა, სანამ ყველა ბარათს არ შეეხებიან და ყველა ფეხზე არ იდგება.

Lesson 2

- დაიწყეთ წინა გაკვეთილზე ნასწავლი დიალოგით - **What is your name...**
- **Sing along.** ამღერეთ სიმღერა. (გვ. 5)

3. A boy and a girl: *He is a boy. She is a girl.*

განასხვავეთ *he/she*:

- მიუთითეს კლასში ბიჭზე და თქვით: *boy* იგივე - *girl*.
- თქვით ბიჭის სახელი (*Levan*) - *He is a boy.*, მერე - გოგოს სახელი (*Tina*) - *She is a girl.* დაწერეთ დაფაზე *he - she*.
- თქვით ბიჭის სახელი კლასიდან, დაამატეთ *he*. იგივე - გოგოს სახელი, დაამატეთ *she*.
- თქვით *boys* ყველა ბიჭი დგება ფეხზე. იტყვიეთ *girls* - ყველა გოგო დგება ფეხზე.

შემდეგ:

ანგენეთ დაფაზე სურათები/მარტივი ასანთის ღეროს ფიგურები - **2 boys and 2 girls.**

მიუთითეთ ფიგურაზე, კლასი პასუხობს. მიუთითეთ მოსწავლეებზე - ბიჭი - გოგო - კლასის პასუხობს.

დაამატეთ ასანთის ღეროს ფიგურა - 1 ბიჭი, 1 გოგო. რიგრიგობით მიუთითეთ, ხან ფიგურაზე, ხან ბავშვზე, სწრაფად, კლასი პასუხობს.

იარეთ კლასში, დაადეთ ხელი ხან გოგოს, ხან - ბიჭს, თან თქვით *he /she*.

ისევ იარეთ კლასში, დაადეთ ხელი ხან გოგოს, ხან ბიჭს - კლასი ამბობს *he /she*.

თითოეულ მოსწავლეს კითხეთ გვერდით მჯდომის შესახებ.

4. (მოსწ. წ. გვ. 5). დიალოგი **What's her name? - Her name? Anna.**

- კლასში იკითხეთ სხვადასხვა მოსწავლეების შესახებ.

შემდეგ - იგივე, თითების სახეებით. გააგრძელეთ ისე, რომ ორი იყოს ბიჭი, ერთი - გოგო:

- **What's his name?**

- **Not 'his', 'her name'.**

- **O.K. What's her name?**

- **Her name is Natia.**

- ყველანი იხატავენ თითებზე სახეებს და აგრძელებენ ამ დიალოგს სხვადასხვა პარტნიორებთან.
- სიმღერა. **What is your name?**
- გადააკეთეთ **What is her name? What is his name?**
- სახელების ბარათების თამაში.

Lesson 3

A. Have a chat. გაამეორებინეთ იგივე დიალოგი, დაასრულეთ 'Goodbye!' 'Bye!' (გვ. 6).

5. ავარჯიშეთ დიალოგის დამახსოვრებაში **A: Hello! How are you? B: I'm fine thanks, and you?**

A: I'm fine thanks. Goodbye. B. Goodbye.

გაამეორებინეთ ბევრჯერ, სხვადასხვა სიტუაციაში:

T (teacher) demonstrates, class reply, 2 Groups reply, Pairs reply.

T demonstrates, then Sts walk round, do dialogue.

ვარიანტი: ჯაჭვური დიალოგი: **T demonstrates. Then A asks B, who asks C, who asks D.....round the class:**

6. Say it again.

შესასრულებლად მარტივი ბიჯები:

1. მასწავლებელი ჯერ წარმოთქვამს ახალ სიტყვებს, მკაფიოდ (ან ასმენინებს ჩანაწერს), მოსწავლეები ამ დროს უყურებენ სურათებს.
2. კლასი გუნდურად იმეორებს სიტყვებს მასწავლებლის შემდეგ, თან უყურებენ სურათებს.
3. მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს მცირე ჯგუფებში (თუ ჩათვლით საჭიროდ).
4. ცალკეული მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს.

ახალი სიტყვებისა და მათი მნიშვნელობის გაცნობის უფრო საინტერესო ხერხია **Total Physical Response (TPR)** ტექნიკა (იხ. გვ.11) – გამეორების ფაზის წინ – სანამ მოსწავლეები წარმოთქვამდნენ ახალი სიტყვების ბგერებს.

b) What's next?

დაიჭირეთ რიცხვების ბარათები ყველას დასანახად ან დაწერეთ დაფაზე. ამოიძახეთ 3 რიცხვი თანმიმდევრულად, მოსწავლეები წამოიძახებენ მომდევნოს. T says, groups follow, T says, individuals follow, T says, class follows.

Have a chat. მთელი დიალოგი. (იხ. აღწერილობა ზემოთ). შემდეგ - სახელებიანი ბარათების თამაში.

Lesson 4
Workbook.

მოსწავლეები აფერადებენ მსგავს სახელებს, ამოჭრიან სიტყვებს დანართიდან და აწებებენ სათანადო ადგილებში, ამასობაში ეცნობიან ინგლისურ ასოებს და სიტყვებს. ეს შეიძლება გააკეთებინოთ კლასში, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, ან სახლში.

Unit 6

Lesson 1: page 19

მოამზადეთ აუდიოჩანაწერი თუ გადაწვეტილი გაქვთ მოასმენინოთ კლასში. თუ არა – გადაშლილი იქონიეთ tapescript.

არჩევით : უთხარით კლასს ქართულად, რომ ამ გაკვეთილზე ისწავლიან 8 ფერის დასახელებას ინგლისურად. (საერთოდ, მოსწავლეებს ყოველთვის უნდა აცნობოთ, რა უნდა ისწავლონ გაკვეთილზე, და ეს ქართულად უნდა გააკეთოთ).

1. **a) Say it again.** ახალი სიტყვების გაცნობა: 8 ფერის დასახელება.
 1. მიუთითეთ ქუდებზე, რიგრიგობით, მკაფიოდ გამოთქვით ფერების სახელები, 2-3-ჯერ გაიმეორეთ თითოეული სიტყვა. (ქუდების სურათების მაგივრად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ფერადი საგნები). მოსწავლეები უყურებენ სურათებს/საგნებს, ჯერ არ იმეორებენ.
 2. კიდევ გაიმეორეთ სიტყვები, თან სურათების/ფერადი საგნების ჩვენებით, უცხტით ანიშნეთ კლასს, გაიმეორონ სიტყვები თქვენს შემდეგ (თუ ამას საჭიროდ ჩათვლით).
 3. კიდევ გაიმეორეთ სიტყვები, სურათების ჩვენებით, და ანიშნეთ ცალკეულ ჯგუფებს/რიგს, რომ გაიმეორონ (თუ საჭიროდ ჩათვლით).
 4. კიდევ გაიმეორეთ სიტყვები, სურათების ჩვენებით, და ანიშნეთ ცალკეულ მოსწავლეებს, რომ გაიმეორონ. იმდენჯერ უნდა გაიმეორებინოთ, სანამ არ დაკმაყოფილდებით ყოველი მოსწავლის სწორად გამოთქმით.

b) Answers please. შემოწმება, რომ მოსწავლეები ცნობენ წაკითხული სიტყვების მნიშვნელობას. აუხსენით ქართულად, თუ რა უნდა გააკეთონ, აჩვენეთ მაგალითი (1 – white). შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ფერების სახელებს და საგნების ნომრებს წერენ უჯრაში შესაბამისი ფერის გვერდით. კითხვის სავარჯიშოები კეთდება ინდივიდუალურად და ჩუმიად. როდესაც დაამთავრებენ, გაუსწორეთ – ზეპირად ან დაფასთან.

Lesson 2: page 20

Answers please. ზეპირი ვარჯიში ფერების ცნობაში და It is... გამოყენებაში.

რომ თავიდან ავიცილოთ კუთვნილებით *its* -თან არევა და უფრო ნათელი გავხადოთ გრამატიკული ფორმა, ვარჩევთ სრული ფორმის *it is* დაწერას. მაგრამ ლაპარაკის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ უფრო ბუნებრივი შემოკლებული ფორმა *it's*. (იგივე ეხება სხვა შესაძლო შემოკლებულ ფორმებსაც მთელი წიგნის განმავლობაში, როგორცაა *there's, I'm, he's....*)

უთხარით მოსწავლეებს შეხედონ სურათებს. თქვენ უთხარით ნიმუშად კითხვა და პასუხი. შემდეგ ცალკეულ მოსწავლეებს დაუსვით *What colour is.....?* კითხვა.

არჩევით: მას შემდეგ, რაც თითოეული სურათის შესახებ 2-ჯერ მაინც დასვამთ კითხვას და მიიღებთ პასუხს, ათამაშეთ 'მეხსიერების თამაში'. მოსწავლეები ხურავენ წიგნებს, დაუსვით იგივე კითხვები თავიდან. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მალე უპასუხონ.

Time to play. მიხედვის თამაში ფერების სახელების სავარჯიშოდ.

აუხსენით თამაშის წესი და კითხვა, რომელიც უნდა დასვან: *Is it red/blue/black....?*

მოიწვიეთ ერთი მოსწავლე და დააყენეთ პირით დაფასთან. ქინძისთავით მიუმაგრეთ ფერადი ბარათი ზურგზე – მან არ უნდა დაინახოს.

ამის შემდეგ იგი იწყებს კითხვების დასმას, რომ მიხედეს, რა ფერის ბარათი აქვს მიმაგრებულ. კლასი პასუხობს **Yes! No!** მოსწავლე გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ 3 ან ნაკლები კითხვით მიხვდება ფერს.

(ეს 'ბრმა' მიხედვის თამაში შეიძლება ათამაშოთ სურათების ბარათების გამოყენებითაც, სადაც კითხვები იქნება : *Is it a cat? Is it a blouse?...*)

Tell me about them. მთელი წინადადებების თქმა სურათების აღსაწერად.

მოსწავლეები უყურებენ 8 ბაეშვის სურათებს და იხსენებენ მათ შესახებ ინფორმაციას თქვენი მითითების მიხედვით. თქვენ უნდა აღევნოთ თვალყური, რომ ისინი ამბობდნენ სრულ წინადადებებს (არა ფრაზებს) სწორი ინფორმაციის და გრამატიკულად სწორი ფორმით გადმოსაცემად.

Lesson 3: page 21

Who is it? კითხვა: ინფორმაციის და სახელების დაწვეილება.

ქართულად აუხსენით, რა უნდა გააკეთონ, აჩვენეთ მაგალითი (*His pens are red – Gogi*). ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ წინადადებებს, ისევე შეხედავენ სურათებს და დაუკავშირებენ სახით წინადადებას სახელთან.

სხვანაირად: შეგიძლიათ დაანომრინოთ წინადადებები, და გადააწერინოთ სახელები წინადადების თანამიმდევრობით. როდესაც დაამთავრებენ, გაასწორებინეთ – დაფასთან ან ზეპირად.

Time to play. რამდენი სიტყვაა სურათში? სიტყვების სახალისო გამეორება.

მოსწავლეები კვლავ უყურებენ სურათებს და წამოიძახებენ ნებისმიერ სიტყვას – საგნის, ფერის, ტანსაცმლის, რიცხვის სახელს, რომელიც კი ამ სურათში არის.

შეგიძლიათ დაწეროთ დაფაზე ის სიტყვები, რომლებსაც მოსწავლეები იტყვიან.

შეგიძლიათ უთხრათ მოსწავლეებს, რომ საგნები დააკავშირონ რაიმე სახელთან. მაგ: *dog-Nino, two – Gia, Gogi*.

ერთი სურათის ფარგლებში სიტყვები არ უნდა მეორდებოდეს . გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოსწავლე, რომელიც უკანასკნელ მისაღებ სიტყვას იტყვის.

Have a chat. მოკლე კომუნიკაციური დიალოგი ფერების სავარჯიშოდ.

წაიკითხეთ ზემოთ სექცია 4 (გვ. 12).

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების გამოთქმა დიალოგებში – განსაკუთრებით რითმა და ინტონაცია – იყოს რაც შეიძლება ბუნებრივი. მაშინაც კი, თუ არ იყენებთ

დიალოგების ჩანაწერს კლასში, კარგად მოისმინეთ გაკვეთილამდე, იმისთვის რომ გამოთქმის მოდელი იყოს კარგი.

Time to play. თითოეულისგან ერთი ასო. ანბანის ასოების სწრაფი გამეორება.

მოსწავლეებმა უნდა თქვან 'შემდეგი ასო' დაყოვნების გარეშე.

დააყენეთ მოსწავლეები ერთ დიდ წრეში. ერთი იტყვის პირველ ასოს 'A', წრიულად, რიგრიგობით, დანარჩენები წამოიძახებენ მომდევნო ასოებს B, C, D და ა.შ. მოსწავლე, რომელიც დაყოვნდება ან დაუშვებს შეცდომას, ტოვებს წრეს, შემდეგი გააგრძელებს მომდევნო ასოთი. თამაში გრძელდება სანამ ერთი მოსწავლე დარჩება და გამოცხადდება გამარჯვებულად.

წრეში დგომის მაგივრად მოსწავლეები შეიძლება ისხდნენ მერხებზე. მასწავლებელი თითო მოსწავლეს აძლევს ერთ ასოს *You are A. You are B..... You are T...* და ა.შ. მოსწავლეებმა უნდა წამოიძახონ თავისი ასო შესაბამის ადგილას, სწრაფად. თამაში მაინც სახალისო იქნება, თუ სწრაფ ტემპში შესრულდება.

Lesson 4: See Workbook

Unit 7

Lesson 1: page 22

Say it again. ახალი სიტყვების გაცნობა: საკლასო ოთახის 6 ნაწილი.

ეს სიტყვები უმჯობესია გააცნოთ თქვენი საკლასო ოთახის მაგალითზე, ვიდრე სურათებზე.

1. აჩვენეთ სიტყვების მნიშვნელობა და წარმოთქმა მითითებით – თან თქვით 2-3-ჯერ: floor, ceiling, board etc. *the* გარეშე).
2. კიდევ გაიმეორეთ ეს სიტყვები, ისევ ჩვენებით, ანიშნით კლასს გაიმეორონ თქვენს შემდეგ.
3. კლასი უყურებს სურათებს, თქვენ ამბობთ: **Number one is the floor. Number two is the ceiling....**

Listen, point and say. შემოწმება, რომ მოსწავლეები ცნობენ ახალი სიტყვების მნიშვნელობას. უთხარით მოსწავლეებს მიუთითონ საგნებზე და თქვან სიტყვები: **T: Point to the board! Pupil: (pointing to the board) Board!**

გააგრძელეთ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ყველა მოსწავლე ცნობს ყველა სიტყვას და მის მნიშვნელობას.

Look and say. ახალი სიტყვების წერილობითი ფორმის ცნობა და ვარჯიში.

1. მიუთითეთ სიტყვის ბარათებზე (ან დაფაზე დაწერილ სიტყვებს, გამოიყენეთ ბეჭდური ასოები, როგორც წიგნში) და წაიკითხეთ თითოეული სიტყვა ხმამაღლა.
2. კვლავ მიუთითეთ ბარათზე, წაიკითხეთ ხმამაღლა და ანიშნით ცალკეულ მოსწავლეებს წაიკითხონ ხმამაღლა თქვენს შემდეგ.
3. მიუთითეთ სიტყვებზე/ბარათებზე თითო-თითო და ანიშნით წაიკითხონ ხმამაღლა – ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

შენიშვნა: მესამე ბიჯი უფრო სახალისო იქნება, თუ გაკეთდება ასაფრიალებელი ბარათებით ('flash cards'). რომელნიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. კითხვის სავარჯიშოდ - ეს არის უბრალო ბარათი, რომელზეც წერია სიტყვა – მკაფიოდ და საკმარისად დიდი, რომ ჩანდეს 5-6 მ მანძილიდან. ამ ბარათებს ასწვევთ ყველას დასანახად ერთი წამით და მოსწავლეები კითხულობენ ხმამაღლა.

Lesson 2: page 23

Look at me! სამოდრო ბრძანებების პრეზენტაცია და ვარჯიში.

1. მოახდინეთ ამ ბრძანებების დემონსტრირება (გამოიყენეთ აუდიოჩანაწერი). მოსწავლეები გიყურებენ და უსმენენ.
2. შეასრულებინეთ მოსწავლეებს ბრძანებები ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში. გაიმეორეთ, სანამ ყველა მოსწავლე ისწავლიდეს ბრძანებების სწორად შესრულებას. სწრაფად შეასრულებინეთ. მოსწავლეები სწრაფად უნდა რეაგირებდნენ, ერთდროულად რამდენიმე მოსწავლე შეიძლება მოძრაობდეს.
3. დანომრეთ 8 სურათი და დააწყვილებინეთ მოსწავლეებს სურათები ბრძანების წინადადებებთან.

Look and say. ახალი წინადადებების წერილობითი ფორმების გაცნობა.

იხ. ამ ტიპის სავარჯიშოს შესრულების აღწერილობა ზემოთ.

Look and move! მოძრაობის ბრძანებების წაკითხვა და შესრულება.

მოსწავლეები უყურებენ 8 წინადადებას/ბრძანებების ბარათებს. თითო-თითო მოსწავლეს, ჩუმად წაკითხეთ ბარათზე დაწერილი ბრძანება და შეასრულებინეთ. მაგალითი: *Nino, please look at number 4 and do it!*

ან გამოიყენეთ ასაფრიალებელი ბარათები ამ რვა ბრძანებით, ასწიეთ თითო ბარათი ყველას დასანახად, გამოიძახეთ მოსწავლე, მას ევალება თავისთვის წაკითხოს ბრძანება და შეასრულოს იგი.

მეორე ალტერნატივაა დაწერეთ ეს 8 ბრძანება დაფაზე – გარკვევით. მიუთითეთ ბრძანებაზე (არ წაკითხოთ ხმამაღლა) და გამოიძახეთ მოსწავლე – თავისთვის წაკითხოს და შეასრულოს.

რომელსაც კი აირჩევთ, სამივე შემთხვევაში მოსწავლემ ჩუმად უნდა წაკითხოს და სწრაფად – არაუმეტეს 10 წამისა – შეასრულოს ბრძანება.

Lesson 3: page 24

Look at me! კიდევ სამოძრაო ბრძანებების გაცნობა და ვარჯიში.

1. აჩვენეთ 5-ვე მოქმედება თქვენ თვითონ, თან, ყოველ ჯერზე, ხმამაღლა თქვით შესაბამისი ბრძანება, მოსწავლეები გიყურებენ და იმეორებენ. გაიმეორეთ 2-ჯერ.
2. გაამეორებინეთ მოსწავლეებს ჯგუფებში, თითოში 2-3. შეასრულონ ერთ-სიტყვიანი ბრძანებები, მაგ.: *Walk! Run! Dance! Jump! Tip-toe!*
3. გაამეორებინეთ მოსწავლეებს 2-3 -იან ჯგუფებში შეასრულონ მოქმედებები დამატებითი დეტალით. მაგ.: *Jump to the door! Run to the teacher! Tip-toe to the window! Walk to the board! Dance to the wall! Tip-toe to the board!....*
4. გაიმეორეთ სანამ ყველა მოსწავლე შესძლებდეს სწორად რეაგირებას. ეს თამაში არის სწრაფი, მოსწავლეები სწრაფად უნდა რეაგირებდნენ, ერთდროულად შეიძლება მოძრაობდეს რამდენიმე მოსწავლე.
5. დანომრეთ სურათები 1 – 5, მოსწავლეებმა უნდა დააწყვილონ სიტყვები სურათებთან.

Look and say. კვლავ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების გაცნობა.

იხ. ასეთი ტიპის დავალების შესრულების აღწერილობა ზემოთ.

Look and move. მოძრაობის ბრძანებების წაკითხვა და შესრულება.

მოსწავლეები უყურებენ მოძრაობის 5 ზმნას. შემდეგ – იხ. ამ ტიპის დავალების შესრულების აღწერილობა ზემოთ.

შესხენება: ეს არის კითხის დავალება, და უნდა სრულდებოდეს ჩუმად – დასაშვებია მხოლოდ მასწავლებლის შენიშვნები და შესწორებები.

Time to play. Simon says.

იხ. ზემოთ.

Have a chat. მოკლე კომუნიკაციური დიალოგი ბრძანებების გაცემაში სავარჯიშოდ.

აღწერილობა იხ. ზემოთ.

იხ. ზემოთ სექცია 4.

ამ დიალოგში ‘Dance to the door!’ ბრძანების შესაცვლელი ვარიანტები ძალიან ბევრია.

მოსწავლემ სასურველია გამოიყენოს ნებისმიერი თავისი სურვილით, თუკი მისი შესრულება საკლასო ოთახში შესაძლებელი იქნება, და ბრძანება სწორი ინგლისურით არის გაცემული.

Rhyme time. ლექსი ახალი ლექსიკის სავარჯიშოდ.

ლექსების (ან სიმღერების) სასწავლად მიმართეთ პროცედურას, რომელსაც ვიყენებთ დიალოგების სწავლებისას. ლექსების და სიმღერების სწავლებისას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რითმს, (მახვილებს, ან ‘ტაქტს’). ამიტომ გირჩევთ გამოიყენოთ აუდიოჩანაწერი კლასში, ან შეამოწმეთ წინასწარ, თუ შეგიძლიათ მათი თქმა/სიმღერა სწორი რითმით. ამ მიზნით აუდიომასალის ჩანაწერში the tapescript სიტყვების მახვილები დასმულია თქვენთვის.

ლექსი უმჯობესია ითქვას სათანადო უკუსტების თანხლებით – მიუთითეთ წიგნზე, კალმისტარზე, ფანჯარაზე, და ა.შ. და ფეხები დააბაკუნეთ იატაკზე 'this is the floor.' სანევენებლად.

Lesson 4: See workbook

VI

THE TAPESCRIPT

აქ მოყვანილია ყველა ტექსტი, რომელსაც მოსწავლემ უნდა მოუსმინოს. თუმცა, რადგან ეს ტექსტები მეტისმეტად გრძელია, აუდიოჩანაწერში შევიტანეთ თითოეულის ნაწილი, რომელსაც მასწავლებელი გაეცნობა გაკვეთილამდე, და კლასში შეასრულებს თვითონ ამ წერილობითი ტექსტების მიხედვით.

რადგან ამ დონეზე შესასრულებელი უმეტესი სავარჯიშოები მოითხოვს მოსწავლეების მიერ მოსმენას, და ამ მოსმენის საპასუხოდ რეაგირებას, ყველა ეს ტექსტი მოცემულია აქ. ამრიგად, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს **მოსასმენი ტექსტების ეს ჩანაწერები ყოველ გაკვეთილზე**. ამიტომ ყოველ გაკვეთილზე მასწავლებლის წიგნი უნდა იქონიოდ გადაშლილი მოსასმენ ტექსტებზე.

Tapescript

Unit 1 Hello! What's your name?

1. Have a chat

A: Hello. What's your name?
B: My name is (Gogi) What's your name?
A: My name is (Lika)

3. Say it again. (Listen and show).

Boy. Girl. He is a boy. She is a girl.

What's his name? His name is Gogi
What's her name? Her name is Nino.

b) Sing along

'What is your 'name? 'What is your 'name? Come 'tell me 'please. 'What is your 'name?
My 'name is 'Gogi. My 'name is 'Gogi. My 'name is 'Gogi. 'That is my 'name.

'What is your 'name? 'What is your 'name? Come 'tell me 'please. 'What is your 'name?
My 'name is 'Nino. My 'name is 'Nino. My 'name is 'Nino. 'That is my 'name.

5. Have a chat.

A: Hello! How are you? B: I'm fine thanks, and you? A: I'm fine thanks. Goodbye. B: Goodbye.

A: Hi! How are you? B: I'm fine thanks, and you? A: I'm fine thanks. Bye. B: Bye.

6. a) Say it again. (Look at the pictures and repeat).

(Slow) 1, 2 3.....10
(faster) 1,2,3.....10

b) What's next?

345?... 6, 789?...10, 234?...5, 567?...8, 123?...4, 456?...7, 678?...9, 234?...5, 567?...8

Unit 2 Things in my classroom

1. a) Say it again (Find the picture).

book, a book, table, a table, pen, a pen, pencil, a pencil, notebook, a notebook, chair, a chair

3. Which picture?

There are 4 girls on the table (in the picture) . Picture 1!

There are 9 pens on the table (in the picture). Picture 2!

There is 1 girl on the table (in the picture).

..... 7 pencils..... / 3 chairs..... /8 books.... / 2 chairs.... /10 pencils..... /6 pens....

Say it again (2). (Find the picture) Note: pictures on p. 7, 1.

picture, a picture, desk, a desk, cassette, a cassette, boy, a boy, girl, a girl, window, a window

6. Answers please!

Where's Dato? I'm here! Where's Giorgi? He's there! Where's Nino? I'm here!

Where's Eka? She's there! Where's Irakli? He's here! Where's Nana? She's here!

7. Sing along (See at the end of this unit.)

Good morning. Good morning. Good morning to you!

Good morning. Good morning. We're glad to see you!

8 a) Listen and put in the numbers . (Where is it? Picture A or picture B?)

Number 1 is a boy. Picture B! Number 2 is a notebook. Picture A!

Number 3 is a cassette. ...4... girl, / ...5... pencil / ...6... book / ...7... eraser / ...8.....picture / ...9... chair /...10.. pen

10. Have a chat

A: Hello Nika. How are you? B: Fine thanks, and you? A: I'm fine thanks. Where's Nino?

B: Nino? She's over there. A: Oh yes. Thanks

A: Hello Sopiko. How are you? B: Fine thanks, and you? A: I'm fine thanks. Where's Beka?

B: Beka? He's over there. A: Oh yes. Thanks

Unit 3 Me and my family

2. Say it again

